


პროექტი „ქართველი ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა“
2013

Project “Cultural Heritage of Georgian Jews”




www.museum.ge
facebook.com/GNMuseum

პროექტი „ებრაული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს
ეროვნული მუზეუმის კოლექციებში“.
როტშილდის ფონდის გრანტი
2014-2015
“Jewish Cultural Heritage in the Collections of
Georgian National Museum”.
Rothschild Foundation Grant Project

როტშილდის ექსპერტების ვიზიტი საქართველოში
Rothschild Foundation experts visit in Georgia



ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია
Restoration-Conservation of Exhibits



საქართველოს ეროვნული
მუზეუმი



Georgian National
Museum

ებრაული კულტურული მემკვიდრეობა
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში

Jewish Cultural Heritage in the Collections of
Georgian National Museum

ებრაული კულტურული მემკვიდრეობა
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში

პროექტი, გამოფენები, ჟურნალური

Jewish Cultural Heritage in the
Collections of
Georgian National Museum



თბილისი 2015 Tbilisi

შალომ კობოშვილის პერსონალური გამოფენა 2006
Personal Exhibition of Shalom Koboshvili



პროექტი „მარადიული ცეცხლი. ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა“ 2008
Project “Eternal Flame. Culture and Habit of Georgian Jews”



პროექტი „ქართველი ებრაელები - ისტორია და კულტურა“ 2010

Project “Georgian Jews - History and Culture”



History of Jewish people in Georgia commenced thousands of years ago. According to “Kartli Tskhovreba” (Life of Kartli), a collection of Georgian chronicles, compiled in the Middle Ages, the first migration of Jews and their settling in Mtskheta was in the 6th century BC. Later migration of the Jews to Georgia has taken place several times and they settled in different regions.

Irrespective of certain assimilation, Georgian Jews have maintained their religion, traditions and originality for many centuries.

Historical-ethnographic museum of Georgian Jews operated in Georgia in 1933-51 period. Its collection was created on the basis of regional scientific-ethnographic expeditions. Collection of the museum illustrates the culture and everyday life of the Jews in Georgia. It includes the ethnographic, religious, ritual items, manuscripts, garments, cloths, accessories, paintings and drawings depicting life of Georgian Jews by the artists Shalom Koboshvili (1876-1941) and David Gvlesiani (1890-1949) created especially for the museum in 1930-ies. In 1951 the museum was closed as the center of Zionism and after seizure (confiscation) of Synagogue building the collection was distributed (moved) to different museums and the exhibits are maintained (kept) there up to present.

Georgian National Museum pays particular attention to study of Jewish collection, the issues of restoration and conservation, as well as popularization. Due to the projects implemented for the last decade the collection was put into order, exhibition was arranged and the publications were prepared. In different exhibition areas of Georgian National Museum the exhibitions of Jewish collections were arranged, 4 catalogues were published, including new attributions and dating of the exhibits resulting from the scientific researches. Each of the projects includes education programs as well.

In 2006, in I. Grisashvili Museum of Tbilisi History the anniversary exhibition of Shalom Koboshvili was organized and complete catalogue was published. In 2008, in the same Museum, the project “Eternal Flame. Culture and Habit of Georgian Jews” was implemented (exhibition, catalogue). In 2010, at Shalva Amiranashvili Museum of Fine Art the exhibition was organized and the catalogue “Georgian Jews. History and Culture” was published. In 2012, in the National Parliamentary Library of Georgia was opened the exhibition dedicated to Hanukkah. In 2013, at Dimitri Shevardnadze National Gallery hosted the Anniversary exhibition “Cultural Heritage of Georgian Jews” and the accompanying and the catalogue was published.

In 2014, at the exhibition hall of reconstructed David Baazov Museum of the History of Jews was displayed part of the Jewish collections.

In 2014-2015, Georgian National Museum implemented project “Jewish Cultural Heritage in the Collections of Georgian National Museum” funded by the Rothschild Foundation grant. The frame work of the project the restoration of the exhibits was finalized and the database was created. Preventive conservation measures were taken as well. In 2014, at S. Janashia Museum of Georgia Jewish collections were exhibited. It is planned to organize the exhibition of the items restored in the frame of the project.

საქართველოში ებრაელი ხალხის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ებრაელთა პირველი მიგრაცია და მათი მცხეთაში დამკვიდრება ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. შემდგომშიც არ შემწყდარა ებრაელთა მიგრაცია და მათი დასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მიუხედავად თანამედვეი ასიმილაციისა, ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა საკუთარი რელიგია, ტრადიციები და თვითმყოფადი კულტურა.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში 1933-1951 წლებში ფუნქციონირებდა. საქართველოში ებრაელთა კულტურისა და ყოფის ამსახველი სამუზეუმო კოლექცია რეგიონალური სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების საფუძველზე შეგროვდა. აქ წარმოდგენილია ეთნოგრაფიული, რელიგიური თუ რიტუალური დანიშნულების ნივთები, ხელნაწერები, სამოსი, ქსოვილები, აქსესუარები, ასევე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც 1930-იან წლებში მუზეუმისთვის საგანგებოდ შეიქმნა. შალომ კობოშვილისა (1876-1941) და დავით გველესიანის (1890-1949) ნამუშევრებში განსაკუთრებით საინტერესოდ და ხატოვნადაა გადმოცემული ქართველ ებრაელთა ცხოვრება.

1951 წელს, მუზეუმი დაიხურა, როგორც სიონიზმის კერა, ხოლო სინაგოგის შენობის კონფისკაციის შემდგომ, კოლექციები გადანაწილდა სხვადასხვა მუზეუმში, სადაც ეს ექსპონატები დღემდეა დაცული.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ებრაული კოლექციების შესწავლის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და პოპულარიზაციის საკითხებს. ბოლო ათწლეულის მანძილზე განხორციელებული პროექტების მეშვეობით მოხდა კოლექციების მონესრიგება, გამოფენა და მომზადდა პუბლიკაციები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში მოეწყო ებრაული კოლექციების გამოფენები, გამოიცა 4 კატალოგი, სადაც ასახულია სამეცნიერო კვლევის შედეგად, ექსპონატების ახალი ატრიბუციები და დათარიღება. თითოეულ პროექტს თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამა.

2006 წელს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში — “ქარვასლაში” მოეწყო შალომ კობოშვილის საიუბილეო გამოფენა და გამოიცა სრული კატალოგი. 2008 წელს, ამავე მუზეუმში განხორციელდა პროექტი: “მარადიული ცეცხლი. ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა” (გამოფენა, კატალოგი). 2010 წელს, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მოეწყო გამოფენა: “ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა”. გამოიცა კატალოგიც. 2012 წელს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო ხანუქის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა. 2013 წელს, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა საიუბილეო გამოფენა: “ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა”; ამ გამოფენის კატალოგიც ასევე დაიბეჭდა.

2014 წელს, დავით ბააზოვის ებრაელთა ისტორიის რეკონსტრუირებული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში მომზადდა ებრაული კოლექციების ნაწილის ექსპოზიცია.

2014-2015 წლებში, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, როტმილდის ფონდის გრანტის ფარგლებში, განახორციელა პროექტი: “ებრაული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში”, რომელიც სხვადასხვა მიმართულების აქტივობებს მოიცავდა. პროექტის მეშვეობით დასრულდა ექსპონატების რესტავრაცია და მომზადდა მონაცემთა ბაზა. გატარდა პრევენციული კონსერვაციის ზომები. 2014 წელს, სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმშიმოეწყო ებრაული კოლექციების გამოფენა, დაგეგმილია პროექტის ფარგლებში რესტავრირებული ექსპონატების გამოფენა.